მერაბ კალანდაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

საქართველოში წინარეისტორიული ხანის შესწავლის საერთო სურათი და ძირითადი ეტაპები

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, ძალიან მოკლედ, გადავავლოთ თვალი საქართველოში წინარეისტორიული ხანის გაშუქების განვლილ გზას, ამ დარგის წარსულს, ისტორიას. მას უფრო ხანგრძლივი წარსული აქვს, ვიდრე ეს საბჭოთა წლებში ეგონათ. მან, ვფიქრობთ, საინტერესო ფერისცვალება, მეტამორფოზი განიცადა. ამ კუთხით აღნიშნული საკითხის გაშუქება, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს და, აქტუალურად მიგვაჩნია. ეს თემა ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე შესწავლილი არ ყოფილა და წინამდებარე ნაშრომი ამის პირველ მცდელობად გვევლინება. ეს საშუალებას მოგვცემს შევავსოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი და ამ დარგში თეთრი ლაქები კიდევ უფრო ნაკლები დარჩება. მკითხველი რომ შეცდომაში არ შევიყვანოთ, აქვე განვმარტავთ, რომ საქმე ეხება პირველყოფილი საზოგადოების ისტორიას, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. უფრო ფართოდ, რომ შევხედოთ ამ საკითხს, არსებითად ეს გახლავთ უძველესი ისტორიის ევოლუცია, რომელიც ორ ნაწილადაა გაყოფილი. წინარეისტორიული ხანა და ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს საქართველოში წინარეისტორიული ხანის შესწავლის ისტორიის განხილვა.

ეს აშკარად სცილდება ჩვენ კომპეტენციას და ამას ჩვენზე უფრო კარგად ამ დარგის სპეციალისტები გააკეთებენ. ჩვენ ყურადღებას მივაპყრობთ ამ დარგის განვითარების საერთო სურათს, თვალს გავადევნებთ მის ევოლუციას, ხაზს გაუსვამთ მისი განვითარების საკვანძო მომენტებს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს აღნიშნული საკითხის პერიოდიზაციასთან.

ამ თემატიკით დაინტერესება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და ჩვენს მიერ საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საკითხში საბჭოთა წარმოდგენის რევიზიის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. მისი ერთ-ერთი შემადგენელი კომ-პონენტია. საბჭოთა წარმოდგენა იყო უაღრესად ცალმხრივი და ტენდენციური, არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნდა, ძალიან ხისტად მიგვაჩნია და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ანტიეროვნული და არაპატრიოტულია. ამ კუთხით აღნიშნული თემის გაშუქება, ვფიქრობთ, ამის კიდევ ერთი ნათელი ილუსტ-რაცია უნდა იყოს.

ამ პერიოდის სახელმძღვანელოებს ჩვენ სულ სხვა კუთხით შევხედეთ და ვცადეთ, მასში ამ დარგის ისტორიის შესწავლის წყარო დაგვენახა. ამ რაკურსით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია [1, 9-27]. ამ სფეროში საბჭოთა წარმოდგენის რევიზია სწორედ ამ სახელმძღვანელოებს, როგორც ამ საკითხის წყაროს, ეყრდნობა. ეს საშუალებას გვაძლევს საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის სულ სხვა სურათი დავდოთ.

***

ჩვენ შევიმუშავეთ საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის განსხვავებული ხედვა, რომელიც პრინციპულად უპირისპირდება საბჭოთა წარმოდგენას და ცდილობს მეცნიე-რულად, არგუმენტირებულად გააბათილოს ის. მითებს რეალობა ამსხვრევს. ყველა სიკეთე საბჭოთა სინამდვილესთან როდი ასოცირდება [1; 2; 3; 4, 232-265 და 265-284]. ჩვენ ვცადეთ, რომ ეს მიდგომა გაგვევრცელებინა ცალკეულ დარგებზე: ძველი მსოფლიო ისტორიის, შუა საუკუნეების ისტორიის, ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში; მსოფლიო ისტორიის, კონკრეტულად

კი ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების, გამოჩენილი ადამიანების მოღვაწეობის შესწავლა საქართველოში. ამჯერად ვცადეთ ეს სქემა გაგვევრცელებინა წინარე ისტორიულ ხანაზე. ვფიქრობთ, ეს ინტერესს მოკლებული არ იქნება.

ჩვენ არ ვცდილობთ ეს სქემა მექანიკურად მოვარგოთ სხვა პრობლემებს. ეს სამართლიანი არ იქნებოდა. ვითვალისწინებთ კონკრეტულ ვითარებას და აქედან გამოვდივართ. მათ შორის ნიუანსობრივი განსხვავება მაინც არსებობს და ამის უყურადღებოდ დატოვება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა.

ცხადია, შემთხვევითი არაა, რომ საქართველოში ახალი ისტორიის საკითხების გაშუქებას გაცილებით უფრო ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, ვიდრე წინა ეპოქების შესწავლას. ეს არცაა გასაკვირი. ახალი ისტორიის თემატიკა გაცილებით უფრო აქტუალური იყო, ვიდრე წინა პერიოდების ისტორია. განსაკუთრებით წინარეისტორიული ხანა. ამ თემატიკას უფრო აკადემიური ელფერი დაკრავდა და შორეულ წარსულს უკავშირდებოდა, მის ექოდ გაისმოდა. აი, ასეთია რეალობა. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქმე გვაქვს არა ერთ, არამედ რამდენიმე, სახელდობრ ორ, სქემასთან, საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლის საკითხში განვლილი გზა სულ სხვა იყო და განსხვავდებოდა წინა ეპოქების გაშუქებისაგან. როგორც წინარეისტორიული ხანის, ისე ანტიკური და შუა საუკუნეების ისტორიის წარსული გაცილებით უფრო ხანმოკლე იყო.

ჩვენს შრომებში [1; 2] ამ თემას გაკვრით შევეხეთ, მაგრამ კონკრეტულად არ განგვიხილავს. ძველი მსოფლიო ისტორიის კონტექსტში ვისაუბრეთ, რაც მათი იდენტურობით იყო განპირობებული. ახლა ვაპირებთ ამ თემის ცალკე გამოყოფას და მსჯელობის ფართოდ გაშლას.

დავიწყოთ იმით, რომ აღნიშნული პრობლემებისადმი საბჭოთა მიდგომა იყო ძალზე იდეოლოგიზებული და პოლიტიზებული. ეს მისი მთავარი დამახასიათებელი შტრიხია. ეს თემა უფრო მეტად პოლიტიკური განსჯის საგანი იყო და არა აკადემიური მსჯელობის. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და

აღნიშნული საკითხის განხილვა აკადემიურ ჩარჩოებში დაგვებრუნებინა. საქართველოში წინარეისტორიული ხანის გაშუქების სულ სხვა სურათი დავდეთ, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა წარმოდგენისგან. საბჭოთა პერიოდში მის მთავარ თეზად წინამორბედების წვლილისადმი მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულება გვევლინება. წინამორბედების გაშავების ხარჯზე ხდებოდა საბჭოთა რეალობის გაიდეალება. ფაქტების საწინააღმდეგოდ გვიმტკიცებდნენ, ვითომ საქართველოში გასაბჭოებამდე წინარეისტროიული ხანის გაშუქების თვალსაზრისით პოზიტიური არაფერი გაკეთებულა. ეს იყო მთავარი ბოლშევიკური მითი. მითებს რეალობა ამსხვრევს.

საქართველოში წინარეისტორიული ხანით დაინტერესების დაწყება საქართველოს გასაბჭოებით – 1921 წლით, დაგვიანებულად მიგვაჩნია და სერიოზული კორექტივების შეტანას საჭიროებს. სინამდვილეში ეს სულ სხვაგვარად იყო. ამ დაინტერესების პირველ ნიშნებს ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე ცოტა ხნით ადრე გადავაწყდებით. ვფიქრობთ, ეს საინტერესო უნდა იყოს. მისმა პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინა უკვე 1905 წელს, როდესაც ქართულ ენაზე გამოვიდა ცნობილი რუსი ისტორიკოსის მაქსიმ კოვალევსკის საინტერესო წიგნი „ოჯახი და კერძო საკუთრების წარმოშობა-განვითარება“ [5]. რა იყო ეს? რამდენად მართლზომიერი იქნებოდა აქედან საქართველოში წინარეისტროიული ხანით დაინტერესების დაწყება? მოდით ნუ ავჩქარდებით. საქმე ისაა, რომ აქედან ამ დარგით დაინტერესების დაწყება მაინც ნაადრევი უნდა ჩანდეს. ეს სპორადული ცნობები, ცხადია, ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს, უპირატესად, ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს. ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა გვეთქვა, რომ ეს ნაშრომი საქართველოში ამ თემატიკით დაინტერესების შესავლად, უვერტიურად, გაისმა. და არა, როგორც წინაისტორიად. მისი წინაისტორიად მიჩნევა გადაჭარბებული იქნება.

როგორც ირკვევა, ეს დარგი თავის პირველ ნაბიჯებს დგამს, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს საბჭოთა წლებში იყო მიღებული, არამედ ცოტა უფრო ადრე,

ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს იმ წლებში გამოსული ლიტერატურა, უპირატესად, ეს იყო სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს არცაა გასაკვირი. წინარეისტორიული ხანის შესწავლა საქართველოში სკოლიდან დაიწყეს. ეს იყო სწორი ნაბიჯი. ამ დარგის შენებას საძირკვლიდან შეუდგნენ. სკოლაში წინარე ისტორიული ხანის სწავლება ძალზედ გაძნელდებოდა ამ საგანში კვალიფიცირებული, სასკოლო სახელმძღვანელოს გარეშე. ეს სახელმძღვანელოებია: დიმიტრი უზნაძე, „ისტორია პირველყოფილი კულტურისა“, გრიგოლ ნათაძე, „პირველყოფილი კულტურა“, თეიმურაზ ჭუმბურიძე, „პირველყოფილი კულტურა“ – ეს სამი სასკოლო სახელმძღვანელოა [6; 7; 8]. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ისიდორე კვიცარიძის მიერ თარგმნილი დ. კუდრიავსკის წიგნი „როგორ ცხოვრობდა ძველი ადამიანი“. ეს სახელმძღვანელო არაა, თუმცა დამხმარე სახელმძღვანელოს ფუნქცია შეიძლება დაეკისროს. დაზუსტებას საჭიროებს პროფ. ალექსანდრე ნამორაძის ფრთხილი ვარაუდი, თითქოსდა გრიგოლ ნათაძის სახელმძღვანელო „პირველყოფილი კულტურა“ თუ არ ვცდებით, პირველი სახელმძღვანელო იყო ქართულ ენაზე ამ დარგში განკუთვნილი საშუალო სკოლის პირველი კლასისათვის“ [9, 372], როგორც ჩანს, მას უნებლიეთ გამორჩა მხედველობიდან დიმიტრი უზნაძის და თეიმურაზ ჭუმბურიძის სასკოლო სახელმძღვანელოები ამ საგანში, რომლებიც ერთი წლით ადრე გამოვიდა.

ეს მონაკვეთი, საბჭოთა ეპოქაში, საქართველოში წინარეისტორიული ხანის შესწავლის წარსულიდან ელიმინირებული, ამოღებული იქნა, გაქრა, გაუჩინარდა, თითქოსდა არც კი არსებობდა, მივიწყების სქელ ნისლში გაეხვია. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. აღვუდგინეთ ამ მონაკვეთს არსებობის უფლება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, პრაქტიკულად, ჩამორთმეული ჰქონდა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ამ მონაკვეთის რეანიმაციასთან. განსხვავებული მიდგომის მთავარი კვინტესენცია, დედააზრი სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ამრიგად, როგორც ხედავთ, ამ სფეროში თავისი საქმიანობა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას ცარიელ ნიადაგზე, ნულიდან კი არ დაუწყია, როგორც ამას საბჭოთა პერიოდში გვიმტკიცებდნენ, არამედ თავისი ტრადიცია გააჩნდა, რომლის მიჩქმალვას ამაოდ ცდილობდნენ. ასეთი გახლავთ სინამდვილე, რომლის არც შელამაზება, და არც გამუქება არ ღირს. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. სასურველი იქნება გამოვძებნოთ საშუალედო გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შევეცადოთ შეძლებისდაგვარად ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები. ასე წარმოგვიდგენია საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. წინამდებარე ნაშრომი ამ საშუალედო გზის მოძიების ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობად გვევლინება.

როგორც ირკვევა, ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში, არავითარ სტაგნაციას, უკანსვლას, ადგილი არ ჰქონია. ეს დარგი ვითარდება, პროგრესირებს, წინ მიდის, სიარულს სწავლობს. აი, ასეთი იყო სინამდვილე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ქართული საზოგადოების თვალთახედვის არეალს მიღმა რჩებოდა და აღნიშნული დარგის განვითარების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავდა.

დასაწყისი ურიგო არ იყო. პირველი ნაბიჯები სწორად გადადგეს, კარგად გათვალეს, რაც მათი წარმატება იყო. რისი გაკეთებაც მოასწრეს გააკეთეს. უპირატესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ. მისი ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს, ამიტომ ამ მონაკვეთზე უნდა ვიმსჯელოთ არა მარტო იმის მიხედვით, რისი გაკეთებაც მოასწრეს, არამედ იმის მიხედვითაც, რისი გაკეთებაც ჩაფიქრებული ჰქონდათ. ჩვენი აზრით, ეს გაცილებით უფრო სწორი იქნებოდა.

დღევანდელი გადასახედიდან ამ სახელმძღვანელოების მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად არ გამოდგება. ეს

ხომ სკოლის სახელმძღვანელოებია. მათი ამოცანა გაცილებით უფრო მოკრძალებულად გამოიყურებოდა. მას, პირველ ყოვლისა, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ მათ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. ეს მათი წარმატება იყო. ამ სახელმძღვანელოებში თავმოყრილი მასალა საინტერესოა და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას, კარგად დააკვალიანებდა და წინარეისტორიულ ხანაზე ზოგადი წარმოდგენის შექმნაში დაეხმარებოდა. აი, ეს იყო სწორედ მთავარი. ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებს ემატებოდა კიდევ ერთი სერიოზული სირთულე, რომლის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამ სიძნელეებზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა. საქმე ის გახლდათ, რომ მათ ამ საქმეში არავითარი გამოცდილება არ გააჩნდათ და, ფაქტობრივად, ყველაფერი ნულიდან უნდა დაეწყოთ. მთავარი სირთულე სწორედ ეს იყო. მათ წინამორბედი არ ჰყავდათ. რა გამოსავალი გამოძებნეს მათ ამ რთული სიტუაციიდან? მათ, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული, რომ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოს ამ საგანში ასე მალე ვერ დაწერდნენ. ამას დრო სჭირდებოდა. დრო კი არ იცდის. მაშინ როგორ დაეღწიათ თავი ამ დარგში მოსალოდნელი კოლაფსისთვის? ეს იყო მთავარი პრობლემა. ისინი შეეცადნენ მოეძებნათ ამ რთული ვითარებიდან გამოსავალი. საკითხის წმინდა პრაქტიკული, პრაგმატული, გადაწყვეტა მათი მიდგომის მთავარ პლუსს წარმოადგენს. როგორც გვგონია, მათ შეძლეს გამოსავალი მოენახათ. აქცენტი გააკეთეს რუსული სახელმძღვანელოების გადმოქართულებაზე. ასეთი იყო თეიმურაზ ჭუმბურიძის სასკოლო სახელმძღვანელო და სცადა ის მიესადაგებინა ქართული რეალობისათვის. ჩვენი აზრით, ეს არანაირ ჩრდილს არ აყენებს ამ საქმეში მათ მიერ შეტანილ წვლილს.

გასათვალისწინებელია, რომ ამ ნაბიჯის საშუალებით ქარ-

თულმა სკოლამ შეძლო თავიდან აეცილებინა ამ დარგში მოსალოდნელი კოლაფსი, რომლის დიდი ალბათობაც ნამდვილად არსებობდა. ეს სახელმძღვანელოები ამართლებს თავის თავს. ის სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე, როდესაც წინარეისტორიულ ხანაზე მშობლიურ ენაზე პრაქტიკულად არაფერი იყო დაწერილი, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ამიტომ ამ სახელმძღვანელოებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რომელიც პრიორიტეტული იყო საბჭოთა წლებში, სრულიად უადგილოა. ჩვენი აზრით, მას ღირსებები გაცილებით უფრო მეტი გააჩნდა, ვიდრე ნაკლი. ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი მიდგომა უნდა იყოს.

სახელმძღვანელოებზე მუშაობის პროცესი დასრულებულად ძნელი იქნება მივიჩნიოთ. მიმდინარეობდა მუშაობა მის შემდგომ სრულყოფაზე, დახვეწაზე. ეს სრულიად ნორმალური პროცესი იყო. ჩვენი აზრით, ყველაფერი ეს სახელმძღვანელოს შექმნის ოპტიმალური ვარიანტის მოძიების მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ. აი, რას წერდა დიმიტრი უზნაძე: „არც ჩვენი ნაშრომია დადინჯებული და დამშვიდებული მუშაობის ნაყოფი. იგი ნაჩქარევია და ამ მიზეზით ნაადრევი და, უდროოდ, მომწიფებული შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ამ ნაშრომის პირველ გამოცემას, რომელიც მრავალრიცხოვანი იბეჭდება, მეორე მოჰყვება და ამ დროისათვის პრაქტიკის და სხვა პედაგოგთა დახმარების წყალობით, ჩემი ნაშრომი უფრო მომწიფებული ნაშრომის სახეს მიიღებს“ [10]. ცოტა ხნის შემდეგ იგივე უზნაძე ამბობდა: „ამ მოთხოვნილებების მიხედვით მისი ღირსებებიც უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ განსაკუთრებულმა ხანამ, წაგვართვა საშუალება საკაბინეტო მუშაობის და ამით აიხსნება, რომ ჩვენი სახელმძღვანელო არსებითად იგივე დარჩა... დამატება მხოლოდ მცირეოდენის მოვასწარით – თუ საჭირო შეიქმნა, მესამე გამოცემისათვის უფრო გულდასმით მოვემზადებით და შინაარსის მხრივ წიგნს გავაფართოებთ. ახლა კი ხელახლა იმას ვაწვდით მკითხველს – რისი დამზადებაც მოვასწარით“ [11]. ყურადღებას მივაპყრობთ, რამდენიმე გარემოებას: დავიწყოთ

იმით, რომ აქედან კარგად ჩანს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდნენ ისინი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობას და რა რთულ პირობებში უხდებოდათ ამ საშური საქმის კეთება. ამგვარი თვითკრიტიკული დამოკიდებულება მისასალმებელი უნდა იყოს და ამ კარგი საქმის წარმატებით დაგვირგვინების საიმედო გარანტად გვევლინება. სამწუხაროდ, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, ეს ასე არ მოხდა [12, 229-230].

როგორც ჩანს, ეს ამ სფეროში მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო, რომელზე მუშაობის დაწყება მათ მოასწრეს. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ამას ექნებოდა გაგრძელება და დაწყებულ საქმეს ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანდნენ. ეს ჩანაფიქრი ასე წარმოგვიდგენია: პირველი საფეხური იყო სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება, რომლის გაკეთებაც მოასწრეს. ამას მოჰყვებოდა მეორე საფეხური. დაიწერებოდა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რომელიც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ კარგი ტრადიციის გაგრძელება იქნებოდა, რომელსაც სათავე დაუდო სასკოლო სახელმძღვანელოებმა. მათი ჩანაფიქრის დასკვნით აკორდად, მესამე საფეხურად, გვევლინება, წინარეისტორიული ხანის მეცნიერული შესწავლის და პოპულარიზაციის ფართოდ გაშლა. ამის შესაძლებლობა და პოტენციალი ნამდვილად არსებობდა.

ამგვარად, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეძლებისდაგვარად შეეცადნენ წინ წაეწიათ წინარე ისტორიული ხანის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. მან ძირითადად სკოლის სახელმძღვანელოებში პოვა ასახვა. სულ ეს იყო რისი გაკეთებაც მათ მოასწრეს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ეს მონაკვეთი საქართველოში წინარეისტორიული ხანის გაშუქების პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული. სავსებთ კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ ამ დარგის აკვანი დაირწა დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წლის 8 თებერ-ვალს, დავით აღმაშენებლის სულის ხსენების დღეს, გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს ეკალივით

ესობოდათ თვალში და გულს უკლავდა ბოლშევიკებს და ძალისხმევას არ იშურებდნენ, რომ როგორმე ამოეშალათ ქართული საზოგადოების ცნობიერებიდან, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ, სრული ფიასკო განიცადეს.

უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, გამრუდებული იქნა საქართველოში წინარეისტორიული ხანის გაშუქების საერთო სურათი და პერიოდიზაცია. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღგვედგინა სამართლიანობა. ეს თემა აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. საქართველოში წინარეისტორიული ხანის ისტორიით დაინტერესება პირობით სამ პერიოდად შეიძლება დავყოთ:

1. წინარეისტორიული ხანით დაინტერესება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.
2. წინარეისტორიული ხანის საკითხების გაშუქება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში 1921-1991 წლები.
3. წინერეისტორიული ხანის საკითხების დამუშავება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება. ეს სქემა სავსებით შეესატყვისება საქართველოში ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის შესწავლის განვლილ გზას. ის იდენტურია.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ იმ ცვლილებების მნიშვნელობის გადაჭარბება, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასაბჭოებამდე ქართულ რეალობაში, ცხადია, ზედმეტია. საქმე გვაქვს ამ ნოვაციების და სიახლეების მხოლოდ კონტურებთან, წანამძღვრებთან, სიმპტომებთან, პირველ ნიშნებთან. იკვეთება საქართველოში წინარეისტორიული ხანის შესწავლის წინაპირობა. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე, როდესაც ამ საკითხზე ქართულ ენაზე, პრაქტიკულად, არაფერი იწერებოდა, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, ის უნაკლო ვერ იქნებოდა.

საქართველოში წინარეისტორიული ხანის გაშუქების დროს სწორი, მეცნიერული, გზით მიდიოდნენ. სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდათ არჩეული, სწორ აქცენტებს სვამდნენ, სწორ არჩევანს აკეთებდნენ. უპირატესად, ორიენტირებული იყვნენ თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, შემთხვევითი არაა და ორი გარემოებით შეიძლებოდა ყოფილიყო განპირობებული. პირველ ყოვლისა, მასში 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს გამოძახილს ვხედავთ, მეორეს მხრივ კი ის ევროპული, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა.

ქართული ისტორიოგორაფია ცდილობს არ ჩამორჩეს, ფეხი აუწყოს იმ ნოვაციებს და სიახლეებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიულ მეცნიერებაში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ სახელმძღვანელოების ერთ-ერთ მთავარ ღირსებას წარმოადგენს. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა და მისი შუა გზაზე მიტოვება მოუხდათ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ 1921 წელს ქართული ისტორიოგრაფია იძულებული გახდა გადაეხვია არჩეული გზიდან და მისმა განვითარებამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, როგორც ეს არაერთგზის აღგვინიშნავს, ძნელია წარმოვიდგინოთ.

საქართველოში წინარეისტორიული ხანის გაშუქება, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან, ერთგვაროვან, ხასიათს, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში ეგონათ და საინტერესო ფერიცვალება, სახეცვლილება განიცადა, რომელიც უფრო სპირალისებურად, ზიგზაგისებურად, წარმოგვიდგენია. ასე უფრო ადეკვატური იქნებოდა. როგორც უკვე ითქვა, თავდაპირველად,

ისინი ორიენტირებული იყვნენ თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე. ეს არის საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. სახელმწიფო ცდილობს არ ჩაერიოს მეცნიერების საქმიანობაში და ძალით არ მოახვიოს მას თავს სასურველი მიდგომა.

მკვეთრი მეტამორფოზი ხდება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ეს, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ პრიორიტეტი ენიჭება სულ სხვა ღირებულებებს. ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის უგულებელყოფა, ცხადია, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა კვლავ ძალაში რჩება, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა, საბჭოთა კავშირში დამყარდა ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების უნიფიკაციას, სტალინიზაციას. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, უმალ ცრუმეცნიერულად ცხადდებოდა, იდევნებოდა. ამან გამოიწვია საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუფერულება. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები სწორედ აქ ძევს.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს, თავი დააღწიოს ვიწრო დოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენას, ცდილობს სწორ გზაზე დაბრუნებას, საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის რეანიმაციას. უნდა ითქვას, რომ გაკეთებული ბევრია, მაგრამ გასაკეთებელი - უფრო მეტი.

ამ რაკურსით საკითხის გაშუქება საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთი საინტერესო დასკვნა გავაკეთოთ. საქართველოში წინარეისტორიული ხანის გაშუქება შეუქცევად ხასიათს იძენს, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ

დიდი ხნის განმავლობაში, არამედ ცოტა უფრო ადრე, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ სფეროში თვისებრივი, ხარისხობრივი ცვლილებები ხორციელდება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს იმ წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები: დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე.

ამ დარგის ტერმინოლოგიის შემუშავება თავის პირველ ნაბიჯებს დგამს არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, არამედ შედარებით უფრო ადრე, 1918-1921 წლებში, თავისუფალ საქართველოში. კიდევ ერთი საბჭოთა მითი ბათილდება.

აი, ასეთი იყო რეალობა, რომელიც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, დიდი ხნის განმავლობაში, ქართული საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. ამგვარი მიდგომა ძალზე იდეოლოგიზებული, პოლიტიზებული იყო. ასეთი იყო პოლიტიკური ნება.

ახლა მოდით, სხვა კუთხით შევხედოთ ამ თემას. ის აღნიშნული დარგის ევოლუციის გამოძახილია, მისი გაგრძელებაა. საუბარია მის საერთო სურათზე და საკვანძო მომენტებზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის პერიოდიზაციასთან.

ჩვენი აზრით, საქართველოში ამ დარგით დაინტერესების ათვლის წერტილად აღებული უნდა იქნეს, არა საქართველოს გასაბჭოება, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა წლებში, არამედ 1918 წელს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა. მან, უმთავრესად, ასახვა პოვა წინარეისტორიული ხანის სასკოლო სახელმძღვანელოებში. სულ ეს იყო რისი გაკეთებაც მოასწრეს. ჩვენი აზრით, ეს მონაკვეთი საქართველოში წინარეისტორიული ხანით დაინტერესების პირველ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წელს იწყება ამ დარგის განვითარების მეორე პერიოდი, რომელიც საბჭოთა რეალობასთან ასოცირდება.

ამ დარგში საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევის შელამაზებულად წარმოჩენა დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ [13].

ამ დარგში საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები მოკრძალებულად გამოიყურება. ეს, პირველ ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ ამ საგანში მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელო არ მოგვეპოვებოდა. ამას გააჩნდა თავისი რეზონი, აზრი და მასში, უწინარესად, საბჭოთა რეალობის გამოძახილს ვხედავთ. ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით აიხსნება, რომ უპირატესობა ენიჭებოდა რუსული სახელმძღვანელოების თარგმნას [14, 15].

ისინი ირჩევენ სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას და მას მარქსისტული პოზიციებიდან აშუქებენ. მაშინ ამ გზით ძალიან ბევრი მიდიოდა. ეს იმ ექსტრემალური ვითარებიდან ერთ-ერთი რეალური გამოსავალი ჩანდა. არჩევანი იყო უარესსა და ცუდს შორის. მათ ფსონი ამ უკანასკნელზე დადეს. ეს იმ პირობებში სწორი ნაბიჯი იყო. არჩევანი არ არსებობდა. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, უმალ ცრუმეცნიერულად ცხადდებოდა, იდევნებოდა. მარქსისტული მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. ამ კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა, ცხადია, არ ღირს. ფაქტობრივად, ამან გადაარჩინა დარგი დაღუპვისაგან. თუ არა ეს კომპრომისი, დღეს ამ სფეროში მშობლიურ ენაზე ის მწირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რაც გაგვაჩნია. საბოლოო ჯამში ამას მოყვა ამ დარგის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუფერულება. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს ყველაზე უფრო ადეკვატური შეფასება უნდა იყოს. თუ ამ შრომებს მარქსისტულ გარე სამოსს შემოვაცლით ღირებული უეჭველად გვრჩება ხელში და ეს მასალა უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. აქ თავმოყრილი მეცნიერული ინფორმაცია ღირებულია. მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი

აშკარაა და ამის უგულებელყოფა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ეს საკითხი ჩვენ აი, ასე გვესახება.

საბჭოთა კავშირის დაშლით 1991 წლის მიწურულს იწყება საქართველოში წინაისტორიული ხანით დაინტერესების მესამე პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს, თავი დააღწიოს ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას და სწორ გზას დაუბრუნდეს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი მთავარი პლუსია, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ამ სფეროში პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები ფრიად მოკრძალებულად გამოიყურება. ეს, უმთავრესად, სკოლის სახელმძღვანელოებია [16, 17].

ფორმაციული პრინციპიდან ცივილიზაციურ მიდგომაზე გადასვლა, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ, წინგადადგმული ნაბიჯია. ეს, ცხადია, პროგრესია, მაგრამ გარკვეული უკმარისობის გრძნობა მაინც რჩება, რა არის ეს? პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, საქმე შეეხება თვით ტერმინს „ცივილიზაციას“ აქ უფრო მეტი გამჭვირვალეობა იქნებოდა სასურველი [18, 3-12], როგორც აღნიშნავენ ისტორიკოსები „უმთავრესად აქცენტი კეთდება კულტურულ-რელიგიურ, ეთნოცივილიზაციურ ფაქტორებზე ისტორიაში, ხოლო სხვა ფაქტორები, პრაქტიკულად კადრს მიღმა აღმოჩნდა. არ ჩანს დინამიკა ისტორიული პროცესის სოციალური ევოლუციის მექანიზმში. უფრო ნაყოფიერი უნდა იყოს სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობა და მათი ურთიერთზემოქმედება“ [19, 2].

და ბოლოს დავძენთ, ეს სქემა სავსებით შეესატყვისება საქართველოში ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის შესწავლას და ამიტომ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ფაქტობრივად საქმე გვაქვს საქართველოში უძველესი ისტორიის შესწავლის წარსულთან, მის ევოლუციასთან, საკვანძო მომენტებთან.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. კალანდაძე მ., ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება, თბილისი, 2021.
2. კალანდაძე მ., საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის შესწავლის ძირითადი ეტაპები, ქართული დიპლომატია, წელიწდეული 19, თბილისი, 2021.
3. კალანდაძე მ., ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბილისი, 2009.
4. კალანდაძე მ., ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი პირველი, თბილისი, 2011.
5. მ. კოვალევსკი, ოჯახი, კერძო საკუთრების განვითარება. თარგმნა სპ. ჭელიძემ, ბათუმი, 1905.
6. უზნაძე დ., ისტორია პირველყოფილი კულტურისა, თბილისი, 1919.
7. ჭუმბურიძე თ., პირველყოფილი კულტურა: პირველი კლასის კურსი. გადმოკეთებული დ. კუდრიავსკის წიგნიდან, ქუთაისი, 1919.
8. ნათაძე გრ., პირველყოფილი კულტურა, პირველი კლასის კურსი, სურათებით, თბილისი, 1920.
9. ნამორაძე ალ., პროფესორი გრიგოლ იასონის-ძე ნათაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, 1959.
10. დ. უზნაძე, ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, ქუთაისი, 1917.
11. უზნაძე დ., პირველყოფილი კულტურის ისტორია, თბილისი, 1919.
12. კალანდაძე მ., დიმიტრი უზნაძე, როგორც ისტორიკოსი, ანალები, 9, 2013.
13. ენგელსი ფრ., ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, თბილისი, 1978.
14. კოსვენი მ., პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები, თარგმნა გ. ჩაჩაშვილმა, თბილისი, 1971.
15. პერშიცი ა., მონგაიტი ა., ალექსეევი კ., პირველყოფილი საზოგადოების ისტორია, მთარგმნელი გ. ავალიშვილი,

თბილისი, 1988.
16. თვალიაშვილი ქ., ჩიკვაიძე ც., ძველი მსოფლიო ისტორია, VI კლასის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005.
17. ბოლოთაშვილი გ., ცივილიზაციების ისტორია, XI კლასის სახელმძღვანელო, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2005.
18. Хачатурян В., Проблемы изучения сравнительной истории цивилизации, Преподавание истории в школе, №5, 1991.
19. Васильев Л., Всемирно-исторический процесс: Концептуальный анализ Преподавание истории в школье, №3, 1993.

Merab Kalandadze

Doctor of historical sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, associated professor

THE EVOLUTION OF THE PREHISTORIC AGE STUDIES IN GEORGIA

Summary

We have developed a different vision of World History studies in Georgia, which fundamentally opposes Soviet perspective. We tried to develop different approach to separate components of World History studies in Georgia: Ancient History studies in Georgia, Medieval History studies in Georgia, Modern History studies in Georgia.

This paper is the first attempt to develop new perspective on World History studies in Georgia, particularly Prehistory studies. The Soviet representation on the mentioned issue was extremely one-sided, ideologized and has no scientific basis. The main postulate of the Soviet approach is the complete neglect and ignorance of the predecessor's contribution.

We consider that the beginning of the field of Prehistory after sovietization of Georgia is not correct. Prehistory studies began developing a little earlier, back in 1918-1921, in the Democratic Republic of Georgia.

The opening of Tbilisi State University by Ivane Javakhishvili on February 8, 1918, and the declaration of Georgia's independence on May 26, 1918, appears to be milestones in the development of this field.

The periodization of the mentioned issue can be conditionally divided into three periods: 1. Prehistoric era studies in Georgian historiography of the Soviet period in 1918-1921. 2. Prehistoric era studies in the Soviet period. 3. Prehistoric era studies in post-Soviet Georgia (from 1990ies).

Mostly by the efforts of the totalitarian-Bolshevik regime the general picture and periodization of the development of this field in Georgia were distorted. In our paper we have attempted to correct this discrepancy.

As it turns out, in 1918-1921, the Democratic Republic of Georgia made its contribution and tried as much as possible to advance the periodization and World History studies, including the Prehistoric era, in Georgia. This interest was mainly reflected in the first national school textbooks in the prehistoric age. At that time, when practically nothing was written about the Prehistoric era, this was a step forward. The activity of Georgian scientists in this field in 1918-1921 did not go beyond the first steps and unfortunately, due to political cataclysms, they did not have chance to bring Prehistoric studies to the end.